



ბანკითარებისა და დემოკრატიის ცენტრი  
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

აჩვენები და  
ეღეჭრონული  
ტექნოლოგიები  
საქართველოში

დაკვირვების შედეგები  
და კარგი პრაქტიკა

2024 წელი



## სარჩევი

- 3 შესავალი
- 5 CDD-ის საარჩევნო და სადამკვირვებლო გამოცდილება
- 10 ზოგადი შეფასება
- 13 ძირითადი მიგნებები
- 17 რეკომენდაციები
- 22 ელექტრონული ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები
- 23 ხმის მიცემის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა
- 24 ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების დაკვირვების პროცესში სადამკვირვებლო ორგანიზაციების მანდატი



## შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიების როლი, მისი განვითარების ტემპები და საჭიროება მთელ მსოფლიოში დღითიდღე იზრდება. თანამედროვე ტექნოლოგიებმა მოიცილა არაერთი სფერო თუ დარგი და გამოიწვია ამ მიმართულებით არც დემოკრატიზაცია და შესაბამისად, არც საარჩევნო სფერო.

მსოფლიოს არაერთი ქვეყანა, სხვადასხვა დონის არჩევნებზე საარჩევნო პროცესების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, იყენებს ან მიმდინარე ეტაპზე წერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს. საარჩევნო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება ითვალისწინებს ხმის მიცემისა და დათვლისთვის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. როგორც წესი, ეს გულისხმობს როგორც ხმის მიცემისა და ბიულეტენების სკანირებისთვის ელექტრონული აპარატების გამოყენებას, ასევე ამომრჩეველთა იდენტიფიცირება და კენჭისყრის შედეგების დათვლას.

საქართველოს პარლამენტის მიერ, 2022 წელს, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კენჭისყრის პროცესში ელექტრონული საშუალებების მასშტაბურ გამოყენებას.

საარჩევნო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2018 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული, სხვადასხვა ტექნოლოგიის ეტაპობრივი გამოყენებით, განხორციელდა არაერთი საპილოტე პროექტი, კერძოდ: ცესკომ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის შუალედურ, საქართველოს პარლამენტის 2019 წლის შუალედურ და მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის შუალედურ



არჩევნებზე, შეზღუდული მოცულობით საპილოტე პროექტის სახით, გამოიყენა ხმის დათვლის ელექტრონული მანქანები/აპარატები. ხმების დათვლის ელექტრონული აპარატების დახმარებით დათვლილ მონაცემებს ჰქონდა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი. უკვე 2022 წელს, მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედურ არჩევნებზე, ხმის მიცემის და დათვლის ელექტრონული აპარატების გარდა, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცედურის განსახორციელებლად საპილოტედ გამოყენებულ იქნა სინქრონიზებული ელექტრონული აპარატები. შედარებით მასშტაბური საპილოტე პროექტი განხორციელდა 2023 წლის შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებზე, სადაც ცესკოს გადაწყვეტილებით 117 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცედურა ჩატარდა VIU Desktop – Offline რეჟიმში ელექტრონული აპარატების გამოყენებით, საერთო ჯამში გამოყენებულ იქნა 404 ელექტრონული აპარატი, ხოლო ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურები ჩატარდა ოპტიკური სკანერის „SAES-1800 plus – Offline რეჟიმში“ საშუალებით, გამოყენებულ იქნა 234 ელექტრონული აპარატი.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2018 წლიდან მოყოლებული, აქტიურად აკვირდება საარჩევნო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას/საპილოტე პროექტების განხორციელებას. CDD-ს მიერ, დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე, მომზადდა არაერთი რეკომენდაცია/ანგარიში და აღნიშნული დოკუმენტი არის მორიგი, რიგით მესამე, ჩვენს მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია საქართველოში საარჩევნო პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, გაანალიზებულია კენჭისყრის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ასპექტები, წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები და არსებული გამოწვევები, რომელიც ჩვენი აზრით თან ახლავს ტექნოლოგიების გამოყენებას.<sup>1</sup>

დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციების შემუშავებას საფუძვლად დაედო, როგორც უშუალო დაკვირვების შედეგები, ასევე სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული უცხო ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო პრაქტიკა.

იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე მიგნებები და რეკომენდაციები დაეხმარება საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს გაანალიზონ მიღწეული შედეგები და უმოკლეს დროში აღმოფხვრან არსებული ხარვეზები, რაც, ჩვენი აზრით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს 2024 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებისა და პრინციპების დაცვით ჩატარებას, რომელიც პირველად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით და ელექტრონული ტექნოლოგიების მასშტაბური გამოყენებით უნდა ჩატარდეს.

1 განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშები/რეკომენდაციები ხელმისაწვდომია ჩვენს ვებ-გვერდზე [www.cdd.ge](http://www.cdd.ge)



## CDD-ის საარჩევნო-სადამკვირვებლო გამოცდილება

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, წარმომადგენლობითი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც 2008 წლის 26 თებერვალს დაარსდა.

ორგანიზაციის პრიორიტეტული მიმართულებებია: დემოკრატიის განმტკიცება და კანონის უზენაესობის დამკვიდრება, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და არჩევნების მონიტორინგი, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მოქალაქეთა ინტერესების ადვოკატირება და მათი ინფორმირებულობა მიმდინარე რეფორმებისა და პროცესების შესახებ.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი 2010 წლიდან აქტიურად აკვირდება საარჩევნო პროცესების მიმდინარეობას საქართველოში. CDD-იმ არჩევნების დაკვირვების საერთაშორისო პრინციპებითა და მეთოდოლოგიით, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, 2010-2023 წლებში განახორციელა დაკვირვება 22 სხვადასხვა სახის არჩევნებზე, რომელიც მოიცავდა არჩევნების წინა პერიოდის, კენჭისყრის დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგს.<sup>2</sup>

CDD-ის დამკვირვებელთა გუნდი შედგება, როგორც ქვეყნის შიგნით, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობის გამოცდილების მქონე პირებისგან, რომელთაც გავლილი აქვთ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ორგანიზებით გამართული გრძელვადიან (LTO) და მოკლევადიან დამკვირვებელთა (STO) მოსამზადებელი ტრენინგები.

<sup>2</sup> “განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის საარჩევნო სფეროში მოღვაწეობის 10 წელი”, იხილეთ ვიდეო რგოლი: <https://www.facebook.com/CDD.ge/videos/2068047719992978>

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი არის ერთადერთი ორგანიზაცია, საქართველოს ისტორიაში, რომელმაც საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მონიტორინგი განახორციელა ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართულობით. შერეული სადამკვირვებლო მისია წარმართა საერთაშორისო ორგანიზაციასთან „დემოკრატიისა და კულტურული გაცვლის ინსტიტუტი“ (IDEM) პარტნიორობით. აღნიშნული უნიკალური მოდელი მოიცავდა ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ ერთობლივად, თანასწორ და პარტნიორულ სანყისებზე, მობილური ჯგუფების მეშვეობით მონიტორინგს, რამაც შექმნა უნიკალური გარემო პოზიციების შეჯერების, კონსენსუსის მიღწევის და მიუკერძოებელი დაკვირვების კუთხით.

CDD-ის გააჩნია უნიკალური გამოცდილება გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი (ე.წ. სპეც. უბნების) და საზღვარგარეთ შექმნილი საარჩევნო უბნების მონიტორინგისა, რის საფუძველზეც მომზადდა არაერთი რეკომენდაცია საკანონმდებლო ბაზის გასაუმჯობესებლად და მათი უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ აქტებში.

გარდა სადამკვირვებლო საქმიანობისა, CDD-ს გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით, კერძოდ:

### **ამომრჩეველთა განათლება/ინფორმირება**

CDD-იმ ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების და სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიმართულებით, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, განახორციელა არაერთი პროექტი როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში. აღნიშნულმა პროექტებმა მოიცვა 500 000-მდე ამომრჩეველი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ახალგაზრდა ამომრჩევლები, ქალი ამომრჩევლები და სხვა.

### **პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშეწყობა**

CDD-იმ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისთვის მიზნით, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, არაერთი პროექტი განახორციელა, როგორცაა: „პოლიტიკური სკოლა“ „პოლიტიკური რესურსების გაძლიერება“ „პოლიტიკური პარტიების რესურსების გაძლიერება დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისათვის“ და სხვა. აღნიშნულმა

პროექტებმა მოიცვა სხვადასხვა პერიოდში არჩევნებზე რეგისტრირებული 30-მდე პოლიტიკური პარტიის 1000-მდე წარმომადგენელი მთელი საქართველოს მასშტაბით.

## **საკანონმდებლო ცვლილებებზე ადვოკატირების წარმატებული კამპანიების განხორციელება**

საარჩევნო სფეროში 13 წლიანი მოღვაწეობის კვალდაკვალ CDD-ს მიერ მომზადდა არაერთი ანგარიში და შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა უმრავლესობაც სრულად ან ნაწილობრივ გათვალისწინებულ იქნა საარჩევნო კანონმდებლობასა თუ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. CDD არის პირველი ორგანიზაცია, რომელმაც პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩასატარებლად შეიმუშავა და საარჩევნო ადმინისტრაციას წარუდგინა რეკომენდაციების პაკეტი, რომელთა უმრავლესობაც გათვალისწინებულ იქნა.

CDD აქტიურად მონაწილეობს არჩევნების თემაზე შექმნილ სხვადასხვა ფორმატის სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში, მათ შორის:

- **თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია (IAC/IATF)**

CDD აქტიურად მონაწილეობს უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში. ჩვენი წარმომადგენლები სისტემატიურად ესწრებიან კომისიის სხდომებს და აკვირდებიან კომისიის მუშაობას.

- **ტექნიკური მუშა ჯგუფი (TWG)**

საარჩევნო პერიოდში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივით ფუნქციონირებს ტექნიკური სამუშაო ჯგუფი (ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან Technical Working Group (TWG)), სადაც განიხილება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საარჩევნო პროცესებში. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი, სადაც წარადგენს ინფორმაციას მიმდინარე საქმიანობების შესახებ.

- **ინიციატივა „ვიმსჯელოთ ერთად“**

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინიციატივის - „ვიმსჯელოთ ერთად“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრებში, სადაც წარადგენდა საკუთარ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.



- **საარჩევნო მედიაცენტრი**

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაციების მედია ცენტრში, სადაც ჟურნალისტებს და სამოქალაქო საზოგადოებას პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას დაკვირვების პროცესის შედეგების შესახებ.

- **საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საჯარო განხილვები**

CDD აქტიურად მონაწილეობდა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვებში, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი. CDD აქტიურად იყო ჩართული საჯარო მოსმენებში და შეხვედრებში მოქალაქეებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით, სადაც უზრუნველყოფდა ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების სიღრმისეულ გააზრებას, განსაკუთრებით შერეული საარჩევნო სისტემიდან სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ნაწილში.

CDD აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და პერიოდულად აწვდის ინფორმაციას საარჩევნო პროცესებზე დაკვირვების შედეგების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ CDD-ის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში აქტიური ჩართულობა და მონიტორინგი. საარჩევნო სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ინიციატივა და შესაბამისი რეკომენდაციები არაერთხელ იქნა აღნიშნული ჩვენს ანგარიშებში, პოლიტიკის დოკუმენტებსა თუ საჯარო განცხადებებში.





CDD-სთვის მიმდინარე საარჩევნო რეფორმა, განსაკუთრებით კი საარჩევნო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ყურადღების საგანია. აღნიშნულიდან გამომდინარე, CDD დააკვირდა დღემდე ჩატარებულ ყველა საპილოტე პროცესს, მათ შორის: 2018 წლის 13 მაისს - ზუგდიდში, 2019 წლის 19 მაისს - წყალტუბოსა და ტყიბულში, 2021 წლის 2 ოქტომბერს - კრწანისში, 2023 წლის 29 აპრილს - ფოთში, ხობსა და სენაკში, ხოლო 2023 წლის 1 ოქტომბერს გორის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნების მიმდინარეობას და საპილოტე პროექტების განხორციელებას.

დაკვირვების პროცესში ყურადღება ექცეოდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობას და ეფექტურობას, საარჩევნო უბნებისა და კომისიების მზაობას, ამომრჩეველთა ინფორმირებასა და ქცევას, პროცედურების განხორციელების სიზუსტესა და თანმიმდევრობას, არჩევნების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და სტანდარტების დაცვას. საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ მომზადდა არაერთი რეკომენდაცია თუ მონიტორინგის ანგარიში, დღემდე გამოქვეყნდა 3 შემაჯამებელი ანგარიში და რეკომენდაციების პაკეტი, მათ შორის რიგი რეკომენდაციები დღემდე უკვე იქნა გათვალისწინებული, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე [www.cdd.ge](http://www.cdd.ge).



## ზოგადი შეფასება

საქართველოში არჩევნები რეგულირდება ძირითადად საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ორგანული კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2022 წელს საქართველოს პარლამენტმა დაიწყო მუშაობა საარჩევნო რეფორმაზე, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის გადასინჯვას ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის დასკვნების შესაბამისად. რეფორმის შედეგად საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 2022 წლის 22 დეკემბერს განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კენჭისყრის პროცესში ელექტრონული საშუალებების გამოყენებას ითვალისწინებდა. საარჩევნო კოდექსს დაემატა ახალი თავი – „კენჭისყრის/არჩევნების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარება“.

კენჭისყრის დღის პროცედურებში შემოღებულ იქნა ისეთი ელექტრონული ტექნოლოგიური სიახლეები, როგორიცაა: ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი, ხმის დათვლის ელ-ტექნოლოგია (სკანერი) და საარჩევნო უბნიდან შემატყაშებელი ოქმის/კენჭისყრის შედეგების ცესკოში ელექტრონულად გადაგზავნის სისტემა, რაც გარკვეულწილად წარმოადგენს მსოფლიოში უნიკალური შემთხვევას, საარჩევნო პროცესში რამდენიმე ტექნოლოგიის ერთდროულად დანერგვის კუთხით.



საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2024 წელს გასამართი საპარლამენტო არჩევნებისთვის, ელექტრონული საშუალებების გამოყენება უნდა შეხებოდეს იმ რაოდენობის საარჩევნო უბნებს, რომელშიც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არანაკლებ 70%-ს მოიცავდა. ცესკოს გადაწყვეტილებით იმ საარჩევნო უბნების რაოდენობა, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა გაიმართოს თითქმის 90%-მდე გაიზარდა.<sup>3</sup>

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამგვარმა ცვლილებებმა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების კომპონენტში ცესკოს მიანიჭა დისკრეცია თავად დაედგინა და განესაზღვრა არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების წესები და პირობები.

CDD აქტიურად აკვირდება საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას და ამ მიზნით განახორციელა სხვადასხვა დონის არჩევნების მონიტორინგი. ჩვენი დაკვირვებით ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში გამოიკვეთა რიგი პოზიტიური მიმართულებები, მათ შორის აღსანიშნავია: ამომრჩეველთა მოქნილი რეგისტრაცია, ხმების დათვლის სიმარტივე, წინასწარი შედეგების დროული გამოქვეყნება, შედეგების სიზუსტე და ა.შ. რაც მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს.

აღნიშნული შეფასებების კვალდაკვალ, ამავდროულად გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომ გასულ წლებში გამართული არჩევნები, სადაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საპილოტე პროექტები განხორციელდა, იყო მცირე მასშტაბის (ერთ ან რამდენიმე საარჩევნო ოლქში გამართული), ხასიათდებოდა ნაკლები კონკურენციით და მიუხედავად ადმინისტრაციის ძალისხმევისა, ელექტრონული ტექნოლოგიების წარმატებული და სრული პილოტისთვის არ იყო საკმარისი ამომრჩეველთა ინტენსივობა/უწყვეტობა, რათა დროსა და მოქმედებაში მომხდარიყო ელექტრონული ტექნოლოგიების მკაცრი ტესტირება და მისი გამოყენების ეფექტიანობის და ეფექტურობის შეფასება.

2018-2023 წლებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გამართულ არჩევნებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ვფიქრობთ,

<sup>3</sup> პრესრელიზი „2024 წლის პარლამენტის არჩევნებში ამომრჩეველთა თითქმის 90% ხმას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მისცემს“. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. <https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11031836-2024-tslis-parlamentis-archevnebshi-amomrchevelta-titkmis-90-khmas-elektronuli-teknologiebis-gamoqenebit-mistsems.06.02.2023>

რომ ტექნიკური და პოლიტიკური საკითხები იქნება ბევრად უფრო საყურადღებო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის და ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესთან დაკავშირებით არსებული ყველა გამოწვევა, მისი აღმოფხვრისა და გათვალისწინების გარეშე, წარმოქმნის მნიშვნელოვან რისკებს არჩევნების სანდოობასა და მთლიანობასთან დაკავშირებით.

CDD-ს მიერ ქვემოთ წარმოდგენილი მიგნებები მოიცავს, 2018-2023 წლებში სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენებით გამართული არჩევნების, როგორც ტექნიკური ტიპის, ასევე უფრო ფართო ხასიათის შეფასებებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება, ჩვენი აზრით, არსებითად მნიშვნელოვანია 2024 წლის არჩევნების ორგანიზებულად და გამჭვირვალედ ჩასატარებლად.

დოკუმენტში წარმოდგენილია არაერთი მიგნება/გამოწვევა, რომელიც ჩვენი დაკვირვებით თან ახლდა საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას. ცხადია, რომ გამოწვევები საარჩევნო პროცესის თანმხლები ნაწილია, მითუმეტეს როცა ინერგება ახალი ტექნოლოგიები, სწორედ ამ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია იყოს ღია, მოქნილი და ეფექტიანი რეკომენდაციების მიღებაში, გააზრებასა თუ დანერგვაში და ყველაფერი გააკეთოს კარგი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის, რათა პროცესის სანდოობა არ დაზიანდეს. საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა გასწიოს ეფექტიანი და ეფექტური ძალისხმევა ჩართულ მხარეებთან გააზრებული და შედეგზე ორიენტირებული სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად.



## ძირითადი მიგნებები

- არჩევნების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების ინიციატივამ გამოიწვია საარჩევნო ოლქებისა და უბნების მოდიფიცირება. საარჩევნო უბნებზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა 1500-დან 3000-მდე გაიზარდა. საარჩევნო უბნების გაერთიანებამ და ამომრჩევლების კენჭისყრის ახალ ადგილებში გადანაწილებამ რიგი გაუგებრობები გამოიწვია. ჩვენი დაკვირვებით ამომრჩევლები არ იყვნენ საკმარისად ინფორმირებულები ერთი მხრივ, საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობის და მეორე მხრივ, ხმის მიცემის პროცედურების ცვლილებების შესახებ, რაც ჩვენი აზრით ამომრჩევლებში იწვევდა დაბნეულობას და გაურკვევლობას, ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვნად მოქმედებს საარჩევნო პროცესების მიმართ ამომრჩევლის ნდობაზე.
- კენჭისყრის ოთახის არასაკმარისი ფართი ყოველთვის იყო გამოწვევა, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციისთვის ასევე, ამომრჩევლისთვის და ჩართული მხარეებისთვის. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო საყურადღებო გახდა ახალი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში, ვინაიდან კენჭისყრის ოთახის არასაკმარისი ფართის გამო, ხშირად იქმნებოდა ამომრჩეველთა რიგები, ფერხდებოდა კენჭისყრის პროცესი და ჩნდებოდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის რისკები. კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კენჭისყრის პროცესისათვის აუცილებელი ფართი“.
- გადასახედა კენჭისყრის არსებული კაბინის კონსტრუქცია. კენჭისყრის კაბინასთან ახლოს მდგომი პირის მიერ, სურვილის შემთხვევაში, მარტივად არის შესაძლებელი ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის იდენტიფიცირება, განსაკუთრებით მცირე ფართის მქონე საარჩევნო უბნებზე. ჩვენი დაკვირვებით, კენჭისყრის კაბინის არსებული კონსტრუქცია ქმნის ამომრჩეველზე შესაძლო გენოლის საფრთხეს და პრაქტიკაში სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს არჩევნების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის - ხმის ფარულობის დაცვას.
- საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებისას საყურადღებოა ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დაცვა. ფარული კენჭისყრის უფლება ამომრჩევლის თავისუფლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ჩვენს მიერ ბოლო არჩევნებზე განხორციელებული დაკვირვების შედეგებით ფარული კენჭისყრის აღსრულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, რომელიც უკავშირდებოდა ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დაცვას, როგორც კენჭისყრის კაბინაში, ასევე ხმის დათვლის სპეციალურ აპარატთან.

- კენჭისყრის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება საჭიროებს სპეციფიურ ტექნიკურ უნარებს კომისიის ხელმძღვანელი პირების/წევრების და სხვა უფლებამოსილი პირების მხრიდან, რომლის არქონაც მნიშვნელოვნად აფერხებს პროცედურების ზედმინებით და დროულად განხორციელებას. რიგ შემთხვევებში საუბნო საარჩევნო კომისიებმა ვერ უზრუნველყვეს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის პროცესის და მასთან დაკავშირებული რისკების დამოუკიდებლად მართვა, რაც პროცესის მასშტაბურობის პირობებში, კომისიების სათანადო მომზადების და ეფექტური მართვის გარეშე, შესაძლოა კიდევ უფრო დიდი გამოწვევა გახდეს.
- კენჭისყრის დღის პროცედურები, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ფონზე, საკმაოდ გადატვირთულია და ზოგიერთი მათგანი პარალელურ რეჟიმში ხორციელდება, რაც გასულ რამდენიმე არჩევნებზე ჩვენი დაკვირვებით ქაოსის შეგრძნებას ტოვებდა და პროცედურების სრულფასოვნად განხორციელებას უშლიდა ხელს. ამავდროულად, დაფიქსირდა, როგორც რიგი პროცედურების არათანმიმდევრული და ცესკოს მიერ დადგენილ წესთან შეუსაბამო მოქმედებები, აგრეთვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის პროცედურების განხორციელების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც ეხებოდა როგორც საარჩევნო უბნის გახსნის და ხმის მიცემის, ასევე ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესს.<sup>4</sup>
- ახალი ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვამ გამოიწვია ცვლილებები საარჩევნო ბიულეტენის ბათილობის ნაწილშიც და კანონში დღეს არსებული ნორმა ჩვენი შეფასებით იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას, რომელიც ეხება ბიულეტენში არსებული წრის “გაფერადებას ან/და მონიშვნას”. დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა როდესაც წრესთან არსებული მხოლოდ ერთი მონიშვნა ჩაითვალა ბათილად. ამავდროულად, კომისიას შეეზღუდა უფლებამოსილება იმსჯელოს და კენჭისყრით გადაწყვიტოს თითოეული საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობის საკითხი, რაც ჩვენი შეფასებით საჭიროებს დამატებით დარეგულირებას. გასაგებია, რომ კანონმდებლის/საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანია, რომ ტრადიციული წესით დათვლილი შედეგები მაქსიმალურად იქნას მიახლოებული ხმის დამთვლელი აპარატის მიერ იდენტიფიცირებულ შედეგებთან, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს საარჩევნო ისტორიაში ხმის მიცემა ძირითადად ტრადიციული შემოხაზვის წესით ხდებოდა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში ბიულეტენებზე კვლავ იყო ტრადიციული წესით შევსების შემთხვევები, სადაც ამომრჩევლის ნება ნათლად იყო გამოხატული.

<sup>4</sup> დეტალურად იხილეთ “ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები საარჩევნო პროცესში ელექტრონულ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით”, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2023. [https://cdd.ge/uploads/files/2023-07/1689446185\\_-misia-2023-geo.pdf](https://cdd.ge/uploads/files/2023-07/1689446185_-misia-2023-geo.pdf)

არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად არჩევნების შედეგები ზუსტად უნდა ასახავდეს ამომრჩეველთა ნებას და დაცული უნდა იყოს თავისუფალი კენჭისყრის პრინციპი. კარგი პრაქტიკის კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით „ექვსის შემთხვევაში კომისია უნდა შეეცადოს დაადგინოს ამომრჩევლის განზრახვა“.

- არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვამ კენჭისყრის დღის არაერთ პროცედურაზე იქონია გავლენა, მათ შორის კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ საარჩევნო უბნებიდან საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარისა და აპარატურის მიღების/დახარისხების პროცესზე. დაფიქსირდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ელ. აპარატურის, საარჩევნო ინვენტარის და ბიულეტენების დასაწყობება/შენახვის პროცესში. იყო შემთხვევები, როდესაც აპარატები საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ დაუღუქავ მდგომარეობაში, არ ხდებოდა დოკუმენტაცია/ინვენტარის აღრიცხვა და დასაწყობების პროცესში მოქმედებდა უამრავი პირი, რომელთა იდენტიფიცირებაც სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ შეუძლებელი იყო.
- მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას აქვს თავისი უპირატესობები, ტექნოლოგიების გამჭვირვალობის, საჯაროობისა და ინკლუზიურობის პრინციპების გარეშე გამოყენებამ, განსაკუთრებით პოლარიზებულ გარემოში, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საარჩევნო პროცესს და არჩევნების შედეგების მიმართ ფართო საზოგადოებრივ ნდობას.



- მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა შეცვალა ხმის მიცემის ტრადიციული მეთოდები და გარკვეულწილად გაამარტივა რიგი საარჩევნო პროცედურები, არჩევნების მცირე მასშტაბიდან გამომდინარე მაინც დაფიქსირდა ამომრჩეველთა რიგები საარჩევნო უბნებთან, რაც ვფიქრობთ 2024 წლის არჩევნების მასშტაბის და კონტექსტის გათვალისწინებით, საარჩევნო უბნების გამსხვილების პირობებში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ როდესაც ამომრჩევლები ხედავენ ხანგრძლივ რიგებს კენჭისყრის ადგილებში, რიგ შემთხვევებში უარს ამბობენ კენჭისყრაში მონაწილეობაზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას.
- ამომრჩეველთა ეფექტიანი განათლება და ინფორმირება მნიშვნელოვანი ასპექტია ამომრჩევლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ნდობის მისაღწევად, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნების მთლიანობაზე. სამწუხაროდ, საარჩევნო კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების საკითხს ან/და მასზე პასუხისმგებელ ორგანოს. მიუხედავად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ფართო საინფორმაციო კამპანიებისა და საგანმანათლებლო პროგრამებისა, კვლავ გამოწვევად რჩება მოქალაქეთა ინფორმირების საკითხი ახალი ელექტრონული ტექნოლოგიებზე და მისი დანერგვით გამოწვეულ პროცედურულ სიახლეებზე, განსაკუთრებით რეგიონებში და მონყვლად ჯგუფებში.
- გასულ წლებში გამართული არჩევნების გამოცდილებამ ცხადყო, რომ აქტიურად და მიზანმიმართულად ხდება დემინფორმაციის/მისინფორმაციის გავრცელება, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში და უმეტესად სოციალური მედია საშუალების გამოყენებით. ამავდროულად რიგ შემთხვევაში არასწორი და პროცესის დამაზიანებელი განცხადებები კეთდება არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, რაც ჩვენი აზრით საფრთხის შემცველია.





## რეკომენდაციები

### სამართლებრივი ჩარჩო

- ახალი ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების გადასაჭრელად რეკომენდებულია საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა, მისი ყოვლისმომცველობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. საყურადღებოა, რომ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად კენჭისყრის პროცესში გამოყენებული ხმის დათვლის ელ-ტექნოლოგია (ე.წ. სკანერი), ამომრჩეველთა მკაფიოდ გამოხატული ნების მიუხედავად, ცნობს ბიულეტენს ნამდვილად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გაფერადებულია ან/და მონიშნულია მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებული შესაბამისი წრე, ხოლო ტრადიციული გზებით მონიშნულ ბიულეტენებს, რომლებზეც ამომრჩევლის ნება შეიძლება აშკარად იყოს გამოხატული, აღიქვამს როგორც ბათილს. მართალია ტექნოლოგიით დათვლილ მონაცემებს აქვს წინასწარი შედეგების ხასიათი, თუმცა აღნიშნული მიდგომა პოტენციურად არღვევს ამომრჩეველთა კონსტიტუციურ უფლებებს. საარჩევნო რეფორმა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მათ შორის უნდა შეეხოს ბიულეტენების ბათილობის საკითხს და განისაზღვროს ხმის დათვლისას ამომრჩევლის ნების დაცვის უფრო მყარი გარანტიები. ასეთი მიდგომა უნდა მოიცავდეს უფრო მკაფიო საკანონმდებლო დეფინიციებს ბიულეტენების მონიშვნის გარშემო და ამასთან, საარჩევნო კომისიებს უნდა მიეცეთ უფლება ამომრჩეველთა განზრახვის დასადგენად სადავო შემთხვევებში იმსჯელონ და გადაწყვიტონ საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობის საკითხი, რითიც დაცული იქნება ამომრჩეველთა კონსტიტუციური უფლებები და ხმის თავისუფალი მიცემის პრინციპი. ეს ცვლილებები ხელს შეუწყობს ტექნოლოგიურ სიზუსტესა და ამომრჩეველთა ნების ჭეშმარიტ ასახვას შორის არსებული ბარიერის გადალახვას, რაც გააძლიერებს საარჩევნო პროცესის მთლიანობასა და სანდოობას.
- მნიშვნელოვანია კანონმდებლობით განისაზღვროს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის ფარულობის დაცვის უფრო მყარი გარანტიები. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებულ უნდა იქნას ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხმის მიცემის ფარულობა.
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ტექნიკური უსაფრთხოების პოლიტიკა. აუცილებელია კანონით განისაზღვროს კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტიები და სისხლის სამართლებრივი სანქციები ელექტრონული ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.

## დაგეგმვა და განხორციელება

- მნიშვნელოვანია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის ჩასატარებლად უფრო მარტივად ხელმისაწვდომი შენობის (გეოგრაფიული ბარიერების და იმ დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, რაც სჭირდება ამომრჩეველს საარჩევნო უბნამდე მისასვლელად) და კენჭისყრის ოთახის ადეკვატური ფართობის შერჩევა (რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცედურების ზუსტი და ზედმინევით განხორციელება, ფარულობის დაცვა, და ამომრჩეველთა თავისუფალი და უსაფრთხო გადაადგილება), რომელთაც ექნებათ შესაბამისი ვენტილაცია.
- მიუხედავად იმისა, რომ ცესკოს გააჩნია საარჩევნო უბნების რუკა, მნიშვნელოვანია მოხდეს მისი გაუმჯობესება Google map საძიებო სისტემის ნავიგაციის ფუნქციისა და მობილური აპლიკაციების ეფექტური გამოყენებით, რაც მისცემს ამომრჩევლებს და არჩევნებში ჩართულ მხარეებს საარჩევნო უბნების მარტივი იდენტიფიცირების საშუალებას.
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დამხმარე პერსონალის (სპეც. ჯგუფების) დაქირავებამ, რომელიც მიზნად ისახავდა კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის ხელშეწყობას, დადებითი შედეგი იქონია პროცესზე. თუმცა მიგვაჩნია, რომ მომავალი ეროვნული არჩევნებისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება რთული ლოგისტიკური გამოწვევაა და შესაბამისად მნიშვნელოვანია მსგავსი ჯგუფის ფორმირების პროცესის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და გადამზადების პროგრამის განხორციელება.
- მნიშვნელოვანია ხმების დამთვლელი სპეციალური აპარატის სერიული ნომრების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია აპარატების ტესტირებისა და დალუქვის განრიგის შესახებ იყოს საჯარო, ოლქების და უბნების მიხედვით, რისი პრაქტიკაც არის უცხო ქვეყნებში.

## ტრენინგები და ამომრჩეველთა განათლება

- მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვროს საარჩევნო ადმინისტრაციის მანდატი ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირების საკითხში. საჭიროა, ამომრჩეველთა განათლების/ ინფორმირების პროცესში პოლიტიკური პარტიების, მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება, საარჩევნო ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის გზით. მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესების შესახებ ინფორმაცია საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის იყოს ხელმისაწვდომი და მთლიანი ელექტორატის საჭიროებებს ეხმიანებოდეს.

- საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს მთელი თავისი რესურსის მობილიზება, რათა ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია კენჭისყრის პროცედურებისა და ახალი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. ასეთი ძალისხმევა, გარდა მასმედიის გამოყენებისა, შეიძლება მოიცავდეს გრძელვადიან საინფორმაციო კამპანიას სატელევიზიურ ადგილებში (სავაჭრო ცენტრები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მასობრივი თავშესაფრის ადგილები და სხვა), ასევე ამომრჩევლის წახალისებაზე ორიენტირებულ ეფექტურ აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს არჩევნების დღეს დაბნეულობის შემცირებას და მონაწილეობის გაძლიერებას.
- მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა ბარათის გავრცელების ეფექტური და დამატებითი მექანიზმების დანერგვა, მაგალითად: გაციფრულება და ელექტრონულად დაგზავნა, SMS სერვისი და სხვა.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ყოველი არჩევნებისთვის ახორციელებს საარჩევნო კომისიის წევრთა მომზადების რამდენიმე ეტაპიან პროფილურ სასწავლო პროგრამას, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საარჩევნო კომისიის ყველა წევრის სათანადო და სრულყოფილ მომზადებას, პრაქტიკული და ციფრული/ტექნოლოგიური უნარების განვითარების კომპონენტით, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის დღის ყველა პროცედურასთან დაკავშირებით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ეფექტიანი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, როგორც ადმინისტრაციის მოხელეებისთვის, ასევე ჩართული მხარეებისთვის. კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად „არჩევნების მომზადებისთვის და ჩატარებისთვის აუცილებელია სათანადოდ მომზადებული კადრები“.
- დადებითად ვაფასებთ, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სავალდებულო სერტიფიცირების შემოღება, რომელიც არაერთხელ იყო ჩვენს რეკომენდაციებში აღნიშნული, თუმცა ამავდროულად აუცილებელია შემუშავდეს ეფექტური მექანიზმები ტრენინგებზე კომისიის წევრთა დასწრებისა და ჩართულობისთვის, რათა მინიმუმამდე იქნას შემცირებული კენჭისყრის დღის პროცედურების არცოდნით გამოწვეული რისკები. ასევე, მნიშვნელოვანია საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის პროცესში მიექცეს ყურადღება სპეციფიურ უნარებს, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებისთვის.

## ამომრჩეველთა რეგისტრაცია

- მნიშვნელოვანია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და შესაბამისმა პასუხისმგებელმა უწყებებმა უზრუნველყონ საქართველოს მოქალაქის არაელექტრონული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უსასყიდლოდ შეცვლაზე ორიენტირებული ეფექტური კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება, რათა არჩევნების დღეს არ მოხდეს ამომრჩეველთა უფლების შეზღუდვა არასათანადო დოკუმენტაციის გამო.
- მნიშვნელოვანია გაფართოვდეს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მანდატი და დამკვირვებლებს მიეცეთ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებში საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა სიების ჩატვირთვის პროცესის მონიტორინგის შესაძლებლობა.

## კენჭისყრის პროცედურები და არჩევნების დღე

- მნიშვნელოვანია გასული არჩევნების გამოცდილების, სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით საარჩევნო კანონმდებლობით/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მკაფიოდ და დეტალურად განისაზღვროს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩასატარებელი კენჭისყრის პროცედურები და ნორმები, რაც გამოირიცხავს რიგი პროცედურების არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას.<sup>5</sup>
- ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვამ გააჩინა დამატებითი სივრცის, ლოგისტიკური/სატრანსპორტო მომსახურებისა და მენეჯმენტის საჭიროება, ამიტომ მნიშვნელოვანია 2024 წელს გასამართი არჩევნებისთვის დეტალურად იქნას განსაზღვრული ე.წ. “საწყობების” და ლოგისტიკური/სატრანსპორტო მომსახურების სახელშეკრულებო ვალდებულებები და ყველა დამატებითი რგოლის საჭიროების შემთხვევაში (საწყობი, საოლქო საარჩევნო კომისიის სივრცე და ა.შ.) აუცილებელია სენსიტიური დოკუმენტაციისა და აპარატურის დახარისხების მკაფიო რეგულაციების შემუშავება. ამავდროულად მნიშვნელოვანია ჩართულ მხარეებს ჰქონდეთ აღნიშნულ პროცესზე უწყვეტი დაკვირვების შესაძლებლობა.

<sup>5</sup> დეტალურად იხილეთ “ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები საარჩევნო პროცესში ელექტრონულ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით”, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2023. [https://cdd.ge/uploads/files/2023-07/1689446185\\_-misia-2023-geo.pdf](https://cdd.ge/uploads/files/2023-07/1689446185_-misia-2023-geo.pdf)

- მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციამ, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავოს ამომრჩეველთა რიგების მართვის და ნაკადის მონესრიგების უფრო ეფექტური და ქმედითი გეგმა, რათა თავიდან იქნას აცილებული საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა გადატვირთულობის გამო ხმის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევები.

## არჩევნების შედეგები

- მნიშვნელოვანია QR კოდების გამოყენება საბოლოო შედეგების ფურცელზე, რაც საშუალებას მისცემს სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს, პარალელურად და დროულად შეძლონ შედეგების გაერთიანება და გადამოწმება, რისი პრაქტიკაც არის უცხო ქვეყნებში.
- შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შეიქმნას შესაძლებლობა (პარალელური სერვერი ან სხვა), სადაც აკრედიტებულ პირებს/სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, ექნებათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ და გადაამოწმონ საარჩევნო უბნიდან გადაცემული მონაცემები, რისი პრაქტიკაც არის უცხო ქვეყნებში. ამავდროულად, მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიმუშავოს და დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს, საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ინფორმაციისა და მონაცემების გადაცემის სქემატური დიაგრამა. კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით აუცილებელია, რომ „შედეგების გადაცემა ღია და გამჭვირვალე წესით განხორციელდეს... გარანტირებული უნდა იყოს სისტემის გამჭვირვალობა.“

## არჩევნების შემდგომი პერიოდი

- მნიშვნელოვანია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების და საარჩევნო პროცესის სხვა ელემენტების საფუძვლიანი და ინკლუზიური საჯარო განხილვა არჩევნების შემდგომ პერიოდში. ეს ხელს შეუწყობს პრობლემური სფეროების იდენტიფიცირებას, ტექნოლოგიების გამოყენების გაუმჯობესებას, საარჩევნო მთლიანობისა და საზოგადოების ნდობას ამაღლებას.
- მნიშვნელოვანია ჩართული მხარეების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების და მედიის წარმომადგენლების, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების ინფორმირებაზე ორიენტირებული ეფექტური მექანიზმების შეიმუშავება და სასწავლო პროგრამების განხორციელება.

- მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებითი და პრინციპული საკითხები დარეგულირდეს საარჩევნო კოდექსით და არა ცესკოს დადგენილებით, რაც შექმნის არჩევნების მთლიანობის დაცვის მყარ გარანტიას და უზრუნველყოფს სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას.
- მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციამ გააძლიეროს საკუთარი შესაძლებლობები დემინფორმაციისა და ყალბი ამბების საპასუხოდ და საარჩევნო პროცესების მავნე ჩარევებისგან დასაცავად. უნდა მოხდეს საარჩევნო კამპანიასა და საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ყალბი, დემინფორმაციული თუ შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი. მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს და ეფექტიანი გახდეს დემინფორმაციისთვის ბრძოლის სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება სტრატეგიული პარტნიორებთან ეფექტური თანამშრომლობა. ამავდროულად საჭიროა საარჩევნო ადმინისტრაციამ დაგეგმოს და განახორციელოს სიმართლის შემცველი, საინტერესო საინფორმაციო კამპანიები ონლაინ პლატფორმებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, უნდა გაავრცელოს სიმართლე და სწორი ინფორმაცია.

## ელექტრონული ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები

- მნიშვნელოვანია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში გეოგრაფიული და ბუნებრივი სპეციფიკაციის გათვალისწინება, მათ შორის ტენიანობა, კლიმატური პირობები და სხვა. რაც შეამცირებს გარემო პირობებით აპარატების გაუმართაობის რისკებს.
- ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ, ე.წ. პლანშეტის გამოყენებით მონაცემთა გადაცემის პროცესში, ადგილი ჰქონდა ქსელის შეფერხებას და სერვერის გადატვირთულობას, რის გამოც ფერხდებოდა ინფორმაციის გადაცემა. მართალია მცირე რაოდენობის უბნების შემთხვევაში აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა არ იქონია შედეგების დროულ გამოქვეყნებაზე, თუმცა საერთო არჩევნებზე აღნიშნული გარემოება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი.
- მნიშვნელოვანია საარჩევნო უბანზე ნებისმიერი ტექნიკური საშუალებების (ელექტრონული აპარატები, პლანშეტი, მესხიერების ბარათი, ქსელის მონწყობილობა თუ სხვა) სრული აღწერილობა, მისი გამოყენების წესი და მიზნები იყოს დეტალიზებული და საჯარო (როგორ მუშაობს ხმის დათვლის აპარატი, რა პორტები და გამოსასვლელები აქვს, რა სტანდარტი გამოყენება ბიულეტენების დათვლისას, ეკრანზე რა ინფორმაცია გამოიტანება და ა. შ.).

- მნიშვნელოვანია შემუშავდეს ტექნიკური ხასიათის რეგლამენტი, სადაც დეტალურად იქნება განვლილი ელექტრონული აპარატების აწყობის/დაშლისა და სინქრონიზაციის პროცედურები, უსაფრთხოების საკითხები, გაუმართაობის შემთხვევაში რეაგირების გეგმა და ა. შ. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტექნიკური ნორმებისა და წესების არსებობა მნიშვნელოვანია პროცესის ერთგვაროვანი წარმართვის, მონიტორინგის და შეფასებებისთვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს პროცესით მანიპულირებისა და არასწორი ინფორმაციის გავრცელების რისკების შემცირებას.
- იმ შემთხვევაში თუ სამომავლოდ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები დადგინდება მხოლოდ ხმის დათვლის აპარატების გამოყენებით, აუცილებელია დაინერგოს ამომრჩევლის მიერ გადამოწმებადი ქალაქის აუდიტის ბილიკი (VVPAT), როგორც ეს არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რათა ელექტრონული აპარატის მიერ დათვლილი შედეგების გადამოწმება იყოს ხელით შესაძლებელი, აუდიტის წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

## ხმის მიხედვით ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა

არჩევნების დღეს ელექტრონული ტექნოლოგიების ეფექტიანი და ინკლუზიური დანერგვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და საკანონმდებლო ჩარჩოში ინტეგრირება, რაც უზრუნველყოფს შემზღვეული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისთვის მეტ ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიურობას. აღნიშნული გულისხმობს საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში, ხელმისაწვდომობის ყოვლისმომცველი სტანდარტების ჩამოყალიბებას. ასევე, შემზღვეული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა უფლებების დამცველებისა და წარმომადგენლობითი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას დაგეგმვის, დიზაინისა და განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განხორციელდეს უფრო ეფექტიანი ღონისძიებები ელექტრონული ტექნოლოგიების საპილოტე ტესტირებისთვის შესაბამის გარემოში, რაც ბარიერების იდენტიფიკაციისა და ხელმისაწვდომობის მახასიათებლების დახვეწის საშუალებას იძლევა. უწყვეტი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები შემდგომში უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობის სტანდარტებთან შესაბამისობას და იძლევა სწრაფი მოქმედების შესაძლებლობას მომავალი არჩევნებისთვის წარმოქმნილი გამოწვევების გადასაჭრელად. აღნიშნული პრაქტიკების დანერგვით საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია იმის გარანტირება, რომ ელექტრონული ტექნოლოგიები ხელს შეუწყობს ყველა ამომრჩევლის თანაბარ ხელმისაწვდომობას და მონაწილეობას, რითაც მოახდენს დემოკრატიის პრინციპების მხარდაჭერას და უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის მთლიანობას.

## ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების დაკვირვების პროცესში სადამკვირვებლო ორგანიზაციების მანდატი

საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებამ წარმოქმნა ახალი პროცედურების/საარჩევნო ღონისძიებების განხორციელების საჭიროება, რომლის გამჭვირვალედ წარმართვა მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობისა და მთლიანობისთვის.

სამწუხაროდ, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების დაკვირვების პროცესში სადამკვირვებლო ორგანიზაციების მანდატი, რაც იძლევა არასწორი ინტერპრეტაციის საშუალებას და წარმოადგენს მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს სრულყოფილი და სრულფასოვანი დაკვირვების განსახორციელებლად.

აღნიშნული მიმართულებით CDD-ის დამკვირვებლებს შეექმნათ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, რომელიც უკავშირდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის/აპარატურის მიღების/დახარისხების და საარჩევნო ბიულეტენების ე.წ. გაცემის პროცესზე დაკვირვებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ორგანიზაციის მიერ ცესკოში წარდგენილ იქნა შესაბამისი განცხადება/საჩივარი, რის თაობაზეც ცესკოს მიერ მიღებულ იქნა სამწუხარო პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი აზრით წარმოადგენს საფრთხეს მომდევნო არჩევნების მონიტორინგის დროს დამკვირვებლების უფლებების შეზღუდვის კუთხით.<sup>6</sup>

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსი ავალდებულებს საარჩევნო კომისიას „შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ დამკვირვებელს შეეძლოს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება საარჩევნო კომისიაში მიმდინარე ყველა პროცედურასთან დაკავშირებით.“<sup>7</sup> ამავდროულად საყურადღებოა, რომ გასულ წლებში გამართულ არჩევნებზე მსგავსი ტიპის საქმიანობაზე/პროცესზე დაკვირვება არასდროს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ და გამხდარა საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან მკაცრი შეზღუდვის საფუძველი. პირიქით მსგავსი ტიპის საკითხები წარმოადგენდა სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობისა და ღიაობის კარგი პრაქტიკის მაგალითს. საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან აღნიშნული ტიპის შეზღუდვა, რომელიც კანონის

6 იხილეთ CDD ის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენილი საჩივარი და შესაბამისი გადაწყვეტილება <https://sachivrebi.cec.gov.ge/#/363451>

7 საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", 41-ე მუხლის მე-5 პუნქტი.



არასწორი ინტერპრეტაციით არის დასაბუთებული, თან იმ პირობებში როცა ახალი ტექნოლოგიები იწერება და საჯარო ინტერესი მაღალია, ბაღებს კითხვის ნიშნებს და წარმოადგენს კარგი პრაქტიკის უგულებელყოფას.

მნიშვნელოვანია, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვროს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გამართულ არჩევნებზე სადამკვირვებლო ორგანიზაციების მანდატი და უფლებამოსილებები, როგორც დადგენილი პროცედურების სრული მონიტორინგის ასევე, აპარატურის ტექნიკური და პროგრამული ფუნქციონირების მონიტორინგის კუთხით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა დააკვირდნენ საარჩევნო პროცესს და ადმინისტრაციის მუშაობას საარჩევნო კომისიის სხდომებს მიღმა, საარჩევნო ციკლის სრულ პერიოდში.



CDD

